ხელშეკრულება

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და შპს „ლაბეი დეველოპმენტი“-ს შორის 2011 წლის 20 ივნისს დადებულ ნასყიდობის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველო, ქ. თბილისი 17 ოქტომბერი, 2012 წელი

ერთი მხრივ, სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო (შემდგომში ”გამყიდველი”) წარმოდგენილი სააგენტოს იურიდიული დეპარტამენტის სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს შტატგარეშე მომუშავის სალომე მესხიას (პირადი №01005030011) სახით, მოქმედი სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის მიერ 2012 წლის 05 ოქტომბერს გაცემული №4/918 მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე და ფარგლებში,

და მეორე მხრივ, შპს „ლაბეი დეველოპმენტი“ (ს/კ№406048012) წარმოდგენილი მისი დირექტორის, ზურაბ ნეფარიძის (პირადი №01011013483) მიერ (შემდგომში -„მყიდველი”) (ერთად წოდებული, როგორც ”მხარეები”),

ვხელმძღვანელობთ რა, „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შპს „ლაბეი დეველოპმენტისათვის“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 19 მაისის №19/05/03 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 12 ოქტომბრის №12/10/04 განკარგულებისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და შპს „ლაბეი დეველოპმენტი“- ს შორის 2011 წლის 20 ივნისს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1

1.1 საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და შპს „ლაბეი დეველოპმენტი“-ს შორის 2012 წლის 20 ივნისს დადებულ ნასყიდობის ხელშეკრულებაში (*შემდგომში:* ”ხელშეკრულება”) შეტანილ იქნეს ცვლილებები:

ა) ხელშეკრულების მე-3 მუხლის 3.1.3 ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3.1.2. უზრუნველყოს 2015 წლის 1 მარტამდე ქ. თბილისში, ფალიაშილის ქუჩის №87-ში (მიწის/უძრავი ქონების საკადასტრო კოდი №04.14.11.022.004) მდებარე შენობის რეკონსტრუქცია.”

ბ) ხელშეკრულების მე-3 მუხლის 3.1.4 ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3.1.3 ამ მუხლის 3.1.3 ქვეპუნქტით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობის შესრულების მიზნით განახორციელოს არანაკლებ 1 000 000 (მილიონი) ლარის ინვესტიცია.”

მუხლი 2.

2.1 ხელშეკრულებაში შესული ცვლილებები არ ცვლის ხელშეკრულების სხვა მუხლების შინაარსს. ყველა სხვა მუხლებით დადგენილი მხარეთა უფლებები და მოვალეობები რჩება უცვლელი.

2.2 ხელშეკრულებაში განხორციელებული ცვლილებები მიიჩნევა ხელშეკრულების შინაარსის ნაწილად და მხედველობაში მიიღება ხელშეკრულების განმარტების დროს.

მუხლი 3.

3.1 ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერისა და სსიპ "საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში" (*შემდგომში* „საჯარო რეესტრი") რეგისტრაციის მომენტიდან.

3.2 ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 3 (სამი) ეგზემპლარად, რომლებიც გადაეცემა მხარეებს და საჯარო რეესტრს.

გამყიდველი
სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო
წარმომადგენელი:
სალომე მესხია
ს. მესხია საოთ მესხია

მყიდველი
შპს „ვოლდფაუნდ უნივერსალი"
წარმომადგენელი:
ზურაბ ნეფარიძე